

შპს „როიალ ხვანჭკარა“
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „როიალ ხვანჭკარა“

სარჩევი

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-18

შპს „როიალ ხვანჭკარა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკ 2020	31 დეკ 2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		2,974,037	3,109,224
საინვესტიციო ქონება		49,498	161,934
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	5	30,000	30,000
ბიოლოგიური აქტივი		785,697	785,703
არამატერიალური აქტივი		42,290	55,395
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,881,523	4,142,255
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	2,090	1,540
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	524,502	448,883
მარაგები	6	1,395,860	1,575,072
სულ მიმდინარე აქტივები		1,922,453	2,025,495
სულ აქტივები		5,803,976	6,167,751
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	5,917,613	5,632,949
დაგროვილი ზარალი	-	(4,453,659)	(3,918,426)
გადაფასების რეზერვი	-	2,100,141	2,100,141
სულ კაპიტალი		3,564,094	3,814,664
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	1,399,970	1,305,265
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,399,970	1,305,265
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	642,973	614,735
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	256,938	433,087
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		899,912	1,047,822
სულ ვალდებულებები		2,239,882	2,353,087
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,803,976	6,167,751

ხელმოწერი პირები:

გიორგი კორსანტია - ფინანსური
დირექტორი

გიორგი მშვიდლობაძე - აღმასრულებელი
დირექტორი

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „როიალ ზვანკარა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკ 2020	31 დეკ 2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		2,974,037	3,109,224
საინვესტიციო ქონება		49,498	161,934
ინვესტიციები შეკავშირე საწარმოში	5	30,000	30,000
ბიოლოგიური აქტივი		785,697	785,703
არამატერიალური აქტივი		42,290	55,395
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,881,523	4,142,255
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	2,090	1,540
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	524,502	448,883
მარაგები	6	1,395,860	1,575,072
სულ მიმდინარე აქტივები		1,922,453	2,025,495
სულ აქტივები		5,803,976	6,167,751
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	5,917,613	5,632,949
დაგროვილი ზარალი	-	(4,453,659)	(3,918,426)
გადაფასების რეზერვი	-	2,100,141	2,100,141
სულ კაპიტალი		3,564,094	3,814,664
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	1,399,970	1,305,265
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,399,970	1,305,265
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	642,973	614,735
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	256,938	433,087
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		899,912	1,047,822
სულ ვალდებულებები		2,239,882	2,353,087
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,803,976	6,167,751

ხელმოწერილი პირები:

გიორგი კორსანტია - ფინანსური
დირექტორი

გიორგი შიშვილიძე - აღმასრულებელი
დირექტორი

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „როიალ ხვანჭკარა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	შენიშვნები	2020
შემოსავალი		
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	11	1,185,955
საერთო მოგება/(ზარალი)	12	(856,290)
სხვა შემოსავლები		329,666
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	305,227
მიწოდების დანახარჯები	13	(637,552)
სხვა ხარჯები	13	(253,777)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(245,005)
ფინანსური შემოსავალი		(501,442)
ფინანსური ხარჯი	-	0
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(33,790)
მოგება დაბეგვრამდე		33,790
		535,232
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		-
სხვა სრული შემოსავალი:		535,232
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		
გადასახადების გამოკლებით		-
მთლიანი სრული შემოსავალი		535,232

ხელმოწერილი პირები:

გიორგი კორსანტია - ფინანსური
დირექტორი

გიორგი მშვიდლობაძე - აღმასრულებელი
დირექტორი

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „როიალ ზვანჭკარა“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

შემოსავალი	შენიშვნები	2020
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	11	1,185,955
საერთო მოგება/(ზარალი)	12	(856,290)
სხვა შემოსავლები		329,666
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	305,227
მიწოდების დანახარჯები	13	(637,552)
სხვა ხარჯები	13	(253,777)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(245,005)
ფინანსური შემოსავალი		(501,442)
ფინანსური ხარჯი		0
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(33,790)
მოგება დაბეგრამდე		33,790
მოგების გადასახადი		535,232
წმინდა მოგება		-
სხვა სრული შემოსავალი:		535,232
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		
გადასახადების გამოკლებით		
მთლიანი სრული შემოსავალი		535,232

ხელმოწერილი პირები:

გიორგი კორსანტია - ფინანსური
 დირექტორი

გიორგი მშვიდლობაძე - აღმასრულებელი
 დირექტორი

30 სექტემბერი, 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს „როიალ ზვანჭკარა“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 01 იანვარი	5,632,949	2,100,141	(3,918,427)	3,814,662
წმინდა მოგება	-	-	(535,232)	(535,232)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(535,232)	(535,232)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	284,664	-	-	284,664
2020 წლის 31 დეკემბერი	5,917,613	2,100,141	(4,453,660)	3,564,094

ხელმოწერილი პირები:

გიორგი კორსანტია - ფინანსური
 დირექტორი

გიორგი შშვიდობაძე - აღმასრულებელი
 დირექტორი

30 სექტემბერი, 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „როიალ ხვანჭკარა“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 01 იანვარი	5,632,949	2,100,141	(3,918,427)	3,814,662
წმინდა მოგება	-	-	(3,918,427)	(3,918,427)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(535,232)	(535,232)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(535,232)	(535,232)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	284,664	-	-	284,664
2020 წლის 31 დეკემბერი	5,917,613	2,100,141	(4,453,660)	3,564,094

ხელმოწერი პირები:

გიორგი კორსანტია - ფინანსური
 დირექტორი

30 სექტემბერი, 2021
 თბილისი, საქართველო

გიორგი შავიძე - აღმასრულებელი
 დირექტორი

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „როიალ ხვანჭკარა“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი
(ლარი)

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „როიალ ხვანჭკარა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2001 წლის 23 იანვარს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფიზიკური პირები, მამუკა ხაზარაძე (48,675%), ბადრი ჯაფარიძე (48,675%), ნენო ბაკურაძე (1,3%), ზაზა დვალი (1,35%).

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მევენახეობა, ღვინის წარმოება ყურძნისგან და ღვინის რეალიზაცია. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, სადგურის მოედანი N2.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ამბროლაური, მ.კოსტავას ქ.,13

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება სრულ შემოსავალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

1 აშშ დოლარი/ ლარი
1 ევრო/ლარი

31 დეკ 2020
3.2766
4.0233

01 იანვ 2020
2.8661
3.2143

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2020 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით,

შპს „როიალ ზვანჭკარა“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი
(ლარი)

გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება სრული შემოსავალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	
ავეჯი და ინვენტარი	7
სატრანსპორტო საშუალებები	5
შენობა ნაგებობები	7
	16

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში (მოცემულ გრაფაში ვადა მოცემულია საშუალო მაჩვენებელში, მეტ წილად სასარგებლო გამოყენების პერიოდი ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეულ აქტივზე).

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება

შპს „როიალ ხვანჭკარა“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი
(ლარი)

ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის აქტივის გამოყენებაზე უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ვალდებულება მეიჯარის წინაშე ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური ხარჯი ასახულია სრულ შემოსავალში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივები შესულია ძირითად საშუალებებში და მათ ცვეთა და გაუფასურება ერიცხებათ იგივე გზით, როგორც სხვა ფლობილ აქტივებს. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი პროდუქციის მიწოდებიდან

შემოსავალი პროდუქციის მიწოდებიდან აღიარდება იმავე პერიოდში როდესაც პროდუქცია ფიზიკურად მიეწოდა მომხმარებელს (დებიტორს). ფასდადგენა ხორციელდება პროდუქციის თვითღირებულების დადგენის შემდეგ, მოგების მარჟის განსაზღვრის შემდგომ.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება სრულ შემოსავალში. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღიარდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება სრულ შემოსავალში, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ

ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის სრულ შემოსავალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. ძირითადი საშუალებები

შპს „როიალ ხვანჭკარა“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის დეკემბერი
(ლარი)

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა ნაგებობები	მიწა	ჯამი
2020 წლის 01 იანვარი	597,020	107,292	198,656	763,643	1,862,228	3,528,839
შემოსვლა	12,434	5,688	-	11,627	-	29,749
გასვლა	-	-	(44,365)	-	-	(44,365)
2020 წლის 31 დეკემბერი	609,454	112,980	154,291	775,270	1,862,228	3,514,223
დაგროვილი ცვთა						
2020 წლის 01 იანვარი	(143,907)	(65,884)	(81,115)	(128,710)	-	(419,615)
ცვთის ხარჯი	(51,727)	(17,404)	(21,643)	(29,798)	-	(120,751)
გასვლა	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	(195,364)	(83,288)	(102,758)	(158,508)	-	(540,187)
საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 01 იანვარი	453,113	41,408	117,542	634,933	1,862,228	3,109,224
2020 წლის 31 დეკემბერი	413,820	29,693	51,533	616,761	1,862,228	2,974,036

არამატერიალური აქტივი

ისტორიული ღირებულება	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2019	64,540	64,540
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2020	64,540	64,540
ცვთა და გაუფასურება		
31 დეკემბერი 2019	(9,146)	(9,146)
პერიოდის ცვთა	(22,250)	(22,250)
გაუფასურება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2020	(31,336)	(31,396)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2019	55,395	55,395
31 დეკემბერი 2020	42,290	42,290

ბიოლოგიური აქტივები

გარდა ზემოთ ხსენებული გრძელვადიანი აქტივებისა საწარმო ფლობს ბიოლოგიურ აქტივებს (ვენახებს), რომელსაც აღიარებს თვითღირებულების მოდელით.

საწარმო ფლობს 20 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე გაშენებულ ვენახებს, სხვადასხვა ჯიშის ყურძნის მოსაყვანად, მათ შორის: ალექსანდროული, მუჯურეთული, საფერავი, თეთრა და ოჯალეში. საწარმოსთვის ანგარიშგების მომზადების მომენტისთვის არ გააჩნდა არანაირი ბერკეტი დროულად და საიმედოდ შეეფასებინა მის ხელთ არსებული ვენახების რეალური ღირებულება, სწორედ ამიტომ იგი იყენებს თვითღირებულების მოდელს.

შპს „როიალ ხვანჭკარა“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2020 წლის დეკემბერი
 (ლარი)

საწარმოს მფლობელობაში არსებული ვენახებს ცვითავს წრფივი მეთოდით და მათი სიცოცხლის უნარიანობა (ნაყოფის სრულყოფილი მიღებისთვის) განსაზღვრულია 45 წლით. საწარმოს საკუთრებაში არსებული ბიოლოგიური აქტივების ღირებულება პერიოდის დასაწყისისთვის წარმოადგენდა 785,703 ლარს, წლის განმავლობაში დაერიცხა 17,146 ლარის ცვეთა, დაკაპიტალიზდა 17,140 ლარი, პერიოდის ბოლოსთვის მისი საბალანსო ღირებულება განისაზღვრა 785, 697 ლარით.

საინვესტიციო ქონება
 კომპანია ასევე ფლობს რაჭის რეგიონში 1 საინვესტიციო ქონებას (შენობას).

საინვესტიციო ქონება	01 იანვ 2020
საწყისი ნაშთი	161,934
საინვესტიციო ქონების შემოსვლა პერიოდის განმავლობაში	-
საინვესტიციო ქონების გასვლა პერიოდის ბოლოს	107,750
სხვა ცვლილება საინვესტიციო ქონებაში	4,686
საინვესტიციო ქონება პერიოდის ბოლოს	49,498

შპს „როიალ ხვანჭკარა“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2020 წლის დეკემბერი
 (ლარი)

6. მარაგი

მზა პროდუქცია	31 დეკ 20
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	92,767
მარაგი	1,303,093
	1,395,860

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკ 20
სავაჭრო მოთხოვნები	496,605
გაცემული ავანსები	27,897
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	524,502

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკ 20
თანხა ბანკში	1,504
თანხა სალაროში	587
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,090

9. სესხები

ორგანიზაცია	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკ 2020
ფინანსური იჯარა					
დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ არსებული ფინ. ინსტიტუტი მოკლევადიანი სესხები	30-01-18	30-01-21	16%	GEL	29,485
დამფუძნებლის სესხი	27-02-19	27-02-21	11%	GEL	75,603
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	01-02-19	30-06-19	11%	GEL	40,000
დამფუძნებლის სესხი	18-12-18	18-06-20	11%	USD	75,603
გრძლევადიანი სესხები					
ფინანსური ინსტიტუტი	08-09-18	25-07-23	11.5%	USD	244,392
დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ არსებული ფინ. ინსტიტუტი	20-04-16	3-12-18	12%	GEL	-
დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ არსებული ფინ. ინსტიტუტი	30-09-08	01-01-10	18%	USD	1,026,093
სულ სესხები					1,491,176

ფინანსური ინსტიტუტის სესხი არის თანადაფინანსებული სახელმწიფოს მიერ (11%) შესაბამისად კომპანიის ხარჯი არის არა არსებითი. სს თიბისი ბანკის სესხი არის ვადაგადაცილებული და დარიცხული აქვს როგორც პროცენტი ასევე პირგასამტეხლო/ჯარიმა.
 ზემოთ მოცემული სესხები წარმოდგენილია ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ზემოთ მოცემული კურსის ექვივალენტით ლარში.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკ 2020
სავაჭრო ვალდებულებები	241,590
სახელფასო ვალდებულებები	15,349
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	256,938

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

11. შემოსავალი

შემოსავალი	2020
შემოსავალი პროდუქციის მიწოდებიდან	1,185,955
სხვა შემოსავალი	305,227
სულ შემოსავალი	1,491,182

12. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2020
მასალის ხარჯი	(856,290)
სულ თვითღირებულება	(856,290)

- კომპანია პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს აკაპიტალიზირებს და შემდგომში ანაწილებს მის პროდუქციის თვითღირებულებაზე, შესაბამისად ყველა მასთან დაკავშირებული ხარჯი ჩამოიწერება მზა პროდუქციის თვითღირებულების სახით (მათ შორის საწარმოო: ცვეთა, მომსახურებები და შრომის ანაზღაურება)

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020
კომუნალური ხარჯები	(4,588)
კომუნიკაციის ხარჯები	(7,281)
მივლინების ხარჯები	(755)
მომსახურების ხარჯები	(204,584)
საწვავის ხარჯი	(7,670)
სხვა ხარჯები	(23,877)
ცვეთის ხარჯი	(125,571)
ხელფასები	(475,123)
დაზღვევის ხარჯი	(10,016)

იჯარის ხარჯი	(31,895)
სულ სერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(891,360)

14. სხვა შემოსავლები

კომპანიას 2020 წელს ქონდა მხოლოდ ერთი სახეობის სხვა შემოსავლი - რთველიდან მიღებული ყურძენი, რომელიც შემოსავლად აღიარდება.

15. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები

არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები შედგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ნამეტით/ზარალით და კურსთა შორის სხვაობებით გამოწვეული ნამეტით/ზარალით

16. მოგების გადასახადი

კომპანიას დაფუძნებიდან 2020 წლის დასრულებულ პერიოდამდე არ დაუფიქსირებია მოგება, იგი საოპერაციო და საინვესტიციო დანახარჯებს ნაწილობრივ შემოსავლიდან ფარავს ნაწილობრივ კი დამფუძნებელთა კაპიტალიდან, შესაბამისად კომპანიის დღის წესრიგში არ დამდგარა მოგების გადასახადის გადახდა.

17. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ექვემდებარება იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულა (2020 წლის 31 დეკემბერი: არანაირი ვალდებულება)

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანია საინვესტიციო ვალდებულებით არ ფლობს არანაირ ქონებას.

18. დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ბალანსი და ოპერაციები

მოცემული ანგარიშგების მიზნებისთვის კომპანიას არ გააჩნია არსებითი ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან.

სხვა დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები:

მენეჯმენტის ანაზღაურება

2020

ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი

361, 852

დაკავშირებულ მხარეთა სესხები

საწარმოს აკონტროლებს ბატონი გიორგი მშვიდლობაძე, რომელიც არ ფლობს საწარმოში წილს, საწარმოს 100% პროცენტს ფლობენ სხვა ფიზიკური პირები.

საწარმომ აქვს ორი დამფუძნებლისგან აიღებული სესხი, რომელიც აღიარდება საბაზრო პროცენტით (11%), აღნიშნული სესხი მიღებულ იქნა უცხოურ ვალუტაში (USD) და ანგარიშგებაში აღიარდა ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული წლის ბოლო კურსით სესხის ოდენობა განისაზღვრა:

სესხი დამფუძნებლისგან

2020

მიღებული მოკლევადიანი სასხესხო ვალდებულება დამფუძნებლებისგან	
საწყისი ნაშთი	26,884
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	-
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	-
დარიცხული პროცენტი	1,884
სულ პერიოდის ბოლოს	28, 768

საწარმომ აქვს ორი დამფუძნებლისგან აიღებული სესხი, რომელიც აღიარდა საბაზრო პროცენტით (11%), აღნიშნული სესხი მიღებულ იქნა ეროვნულ ვალუტაში, სესხის ოდენობა განისაზღვრა:

სესხი დამფუძნებლისგან

2020

მიღებული მოკლევადიანი სასხესხო ვალდებულება დამფუძნებლებისგან	
საწყისი ნაშთი	75,185
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	-
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	-
დარიცხული პროცენტი	7,073
სულ პერიოდის ბოლოს	82,258

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

21. კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და მოკლე დროში მიიღო გლობალური პანდემიის სახე. მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა რამაც გავლენა იქონია ეკონომიკაზე, როგორც სტაბილურობის ისე კრიზისის თვალსაზრისით. პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის მასშტაბების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო, ნაწილობრივ გაჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. საქართველოს ხელისუფლებამ დროულად მიმართა შეზღუდვებს და დააწესა რეგულაციები, კომპანიამ გაითვალისწინა ყველა მითითება და რეგულაცია, რის ფარგლებშიც გააგრძელა ეკონომიკური საქმიანობა.

კომპანია გეგმავს შექმნას საქმიანობის უწყვეტობის გეგმა, გაციფრულებაზე კი ყველაზე დიდ აქცენტები გაკეთდება. კომპანია გეგმავს მინიმუმადე დაიყვანოს თანამშრომლების და სხვა პირების ფიზიკური კონტაქტი, რასაც გაციფრულების საფუძველზე შეძლებს.

ზემოთ აღწერილის შემთხვევაებლად უნდა ითქვას რომ კორონა ვირუსს 2020 წლის ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2021 წლის 27 სექტემბერს.